პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 30 (6341)

1979 წ. 13 თებერვალი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სადღეისო ამოცანა

საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს მშრომელები, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად ჭეშმარიტად შემოქმედებითი შრომის, უდიდესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენებით აღსავსე დღეებით ცხოვრობენ.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ დღეებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა აღიქვეს, როგორც საბჭოთა დემოკრატიის ახალი გამარჯვება, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის კიდევ ერთი დასტური.

საქართველოს მშრომელთა უდიდესი სიხარული, მათი შემოქმედებითი ენერგიის ძალუმი აღმავლობა გამოიწვია ახლახან მიღებულმა ცნობამ იმის შესახებ, რომ დიდად დაფასდა მათი მუხლჩაუხრელი შრომა — ჩვენი რესპუბლიკა აღიარებულ იქნა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად და მას გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ საამაყო წარმატების, დიდი დაფასების სიხარულს, უეჭველია უერთდება პასუხისმგებლობის ის მაღალი შეგნება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს გაუორკეცა თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ე. ა. შევარდნაძის** გამოსვლამ. კონფერენციაზე დასმული მეტად საპასუხისმგებლო ამოცანების გადაჭრისთვის მიზანსწრაფული, სისტემატური, თავდადებული მოღვაწეობა საქართველოს კომუნისტებმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა დაისახეს როგორც სადღეისო საბრძოლო პროგრამა.

ამ დიდი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ და კიდევაც უნდა შეიტანონ რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა, ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებმა, ამ საქმის სპეციალისტებმა, მწვრთნელებმა, სპორტსმენებმა.

სწორედ ამ ამოცანებს — და კერძოდ რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა გატარდეს ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე, რათა საქართველოს დედაქალაქისა და სხვა ქალაქებისა თუ რაიონების სპორტული ბაზები ვაქციოთ კულტურის სანიმუშო ცენტრებად, მიეძღვნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკთა შეკრება, რომელიც ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტში.

შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **დ. პერტენავამ** ხაზგასმით აღნიშნა: თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციის მიერ დასახული ამოცანები საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს აიარაღებს საქმიანობის ნათელი პროგრამით, რომლის განხორციელება მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა გატარებას ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების ყოველ უბანზე.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება **სპორტული ღონისძიებების ჩატარების ხარისხის მკვეთრ ამაღლებას.** ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სპორტული ღონისძიებები უნდა გადავაქციოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მძლავრ საშუალებად.

სამწუხაროდ, იშვიათი როდია, რომ სპორტული შეჯიბრებები ტარდება ნაჩქარევად, მოუმზადებლად. ხშირად ხდება ხოლმე, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებს გამარჯვებულთა დაჯილდოებაც „ავიწყდებათ“ შესაბამისი მედლებით. ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მოსახლეობას არ აცნობენ გაზეთები, აფიშები და ხშირად ასპარეზობები იმართება უმაყურებლოდ. განსაკუთრებით დაუშვებელია, რომ შეჯიბრებებს არ ესწრებიან ბავშვები, რომელთათვის ასეთ ღონისძიებებზე მოსვლა სპორტისადმი ინტერესის გაღვივების კარგი საშუალება იქნებოდა.

საერთო ამოცანის გადაწყვეტის საქმეში დიდი როლი ეკისრება ჩვენს **სპორტულ ბაზებს, იმას თუ როგორ მიიღებენ ისინი მაყურებლებს, როგორ მოემსახურებიან სპორტსმენებს, რას გააკეთებენ იმისთვის, რათა ყოველი სპორტული ასპარეზობა გახდეს სპორტის ზეიმი, სიჭაბუკისა და სიჩაუქის დღესასწაული.** აქ მეტად მნიშვნელოვანია აღმზრდელობით საშუალებათა ღონისძიებების გამიზნული, სისტემატური ჩატარება. ყველა, განსაკუთრებით დახურულ სპორტულ ბაზაზე აუცილებლად უნდა გავრცელდეს თბილისის სპორტის სასახლის კარგი წამოწყება თამბაქოს მოწევის აკრძალვის თაობაზე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მაყურებელი სათუთად უფრთხილდებოდეს საყვარელი სპორტსმენების ჯანმრთელობას, საკუთარ ჯანმრთელობას; განიმსჭვალოს რწმენით, რომ მოვიდა ფიზიკური კულტურის ცენტრში, სადაც დაუშვებელია არა მარტო თამბაქოს მოწევა, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის უმნიშვნელო დარღვევაც კი. ამ მიზნით, პირველ ხანებში მაინც, საჭირო იქნება შევქმნათ „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სპორტული რაზმები“, რომლებშიც უნდა გაერთიანდნენ სპორტსმენები, ფიზიკური კულტურის აქტივისტები.

სადღეისო ამოცანა ის არის, რომ ჩვენი **სპორტული ბაზები გადავაქციოთ კულტურის ცენტრებად!** აქ უნდა გაიშალოს ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობა. სპორტსმენებთან, სპორტის მოყვარულებთან, განსაკუთრებით — ბავშვებთან.

ამგვარი მუშაობის ცენტრებად გვესახება ჩვენი საამაყო სპორტული ბაზები — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი, სპორტის სასახლე, წყალჯომარდობის კომპლექსი, ვაკის საცურაო აუზი, ველოტრეკი, მძლეოსნობის სასახლე, ჭიდაობის ცენტრები გორში, გურჯაანში, კასპში, თელავში, სხვა სპორტული ბაზები სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში...

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება „დინამოს სტადიონზე აღმზრდელობითი მუშაობის ფართოდ გაშლას. როგორც ცნობილია, გასულ საფეხბურთო სეზონში რესპუბლიკამ მოიპოვა საპატიო პრიზი „გუნდთან ერთად“, რაც ჩვენს წინაშე აყენებს უცილობელ ამოცანას, პრიზი კვლავაც შევინარჩუნოთ.

ახლა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სპორტული ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების საქმე. პირველ რიგში ესაა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული თბილისისა და საქართველოს სპარტაკიადების გამართვა. როგორც ცნობილია, უკვე 5 აპრილს საზეიმოდ უნდა გაიხსნას თბილისის სპარტაკიადა, ხოლო მაისში — საქართველოს სპარტაკიადა. ამავე დროს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სპორტულ ბაზებზე საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობებისთვის გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები. მათი მომზადების ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი პირობები ექნებათ მათ წვრთნისა თუ დასვენებისთვის, ოსტატობის ამაღლებისთვის.

საქართველოს სპარტაკიადის ყველა სტარტი, საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული სპორტული ღონისძიებები საჭიროა ჩავატაროთ მაღალ დონეზე, ისე როგორც შეეფერება სანიმუშო კომუნისტურ ქალაქს, ჩვენს შრომისმოყვარე ხალხს.

ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს თვით ბაზების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა, მათი გარეგნული სახე. **ყველა ბაზა უნდა იქცეს მშრომელთა დასვენების, ჩვენი ხალხის ფიზიკური წრთობის ნამდვილ კერად.** აქ უნდა გაიმართოს არა მარტო დიდი სპორტული ასპარეზობანი, არამედ მარტივი შეჯიბრებანი, მასობრივი სპორტული გამოსვლები, ჯანმრთელობის სპარტაკიადები. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ მშრომელებმა შეძლონ ბაზებზე მოსვლა კვირა და უქმე დღეებში, მათთვის ხელსაყრელ დროს. ფართო მასების ფიზკულტურით დაინტერესებისთვის უნდა გამოიყენონ ყველა საშუალება — პრესა, რადიო, ტელევიზია, უფრო აქტიურად ჩავაბათ სპორტის პროპაგანდისტები, ვეტერან სპორტსმენთა საბჭოები და ა. შ.

სპორტული ბაზები უნდა გადავაქციოთ ჭეშმარიტად სანიმუშო ფიზიკური კულტურის კერებად, ჩვენი დედაქალაქის, მთელი რესპუბლიკის ღირსშესანიშნავ ადგილებად.

შეკრებაზე სიტყვებით გამოსულმა **ვ. ყირმელაშვილმა, ბ. პაიჭაძემ, ვ. დიდიძემ, ვ. გოიაშვილმა, ვ. ბარკალაიამ, გ. მძელურმა, ვ. სვეტილკომ, ი. ოგანოვმა, ვ. ლომაძემ** ერთხმად აღნიშნეს, რომ თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXVII კონფერენციის მიერ დასმული ამოცანები, მათი უცილობელი გადაჭრისთვის ბრძოლა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის ყველა მუშაკის ღვიძლი საქმეა და მისი გადაწყვეტისთვის უნდა დაირაზმოს რესპუბლიკის მთელი ფიზკულტურული აქტივი. ამავე დროს საჭიროა, რომ ყოველ კონკრეტულ უბანზე მუშაობის ახლებურად წარმართვისთვის დაუყოვნებლივ გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები — შესაბამისად მოირთოს სპორტული ბაზები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ გამწვანებას, ტერიტორიის დასუფთავებას, შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს ასპარეზობებში გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოების რიტუალი, მჭიდრო კავშირი დამყარდეს ბავშვთა სპორტულ სკოლებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, წარმოება-დაწესებულებებთან, უფრო ხშირად ჩატარდეს „ჯანმრთელობის სპარტაკიადები“ და მასობრივი სპორტული ზეიმები, კულტურისა და დასვენების პარკებში მოეწყოს „ჯანმრთელობის ბილიკები“, ყურადღება მიექცეს სტადიონებზე და სხვა დიდ სპორტულ სარბიელზე შორის არსებული პაუზების მიზნობრივად გამოყენების საკითხს, ბაზებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პირობებში გათვალისწინებული იქნას ყველაფერი ის, რაც მათ უნდა გააკეთონ ერთი საერთო მიზნის შესრულებისთვის — რესპუბლიკის სპორტული ბაზები გადავაქციოთ სანიმუშო კულტურის ცენტრებად.

ჩვენი გაზეთის პრიზზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირი ხვალ დამთავრდება

ბაკურიანი, 12 თებერვალი. **(ტლეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** საბჭოთა კავშირის სამთო-მოთხილამურეთა გუნდური ჩემპიონატის III ტურის მორიგი შეხვედრები დღეს აქ ვაჟებმა გიგანტური სლალომის პირველ ტრასაზე გამართეს. 102 მონაწილეს 1200 მეტრზე 49 კარი უნდა გაევლო. ტრასა იმდენად რთული იყო, რომ სპორტსმენთა ზუსტად მესამედმა გამოცდას ვერ გაუძლო და რბოლას გამოეთიშა, ხოლო ორმა მონაწილემ საკონტროლო დროს (1.25,0) გადააცილა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

ამ დღეს ყველაზე უკეთ დაეშვა 18 წლის სპორტის ოსტატი კ. ბოტილევი („სპარტაკი“) — 1.00,75. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ს. ცირიულნიკოვი („ტრუდი“) — 1.01,36 და ა. დოგადკი („შრომითი რეზერვები“) — 1.01,69.

მასპინძლებიდან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ბაკურიანელ სპორტის ოსტატს ს. მიქაბერიძეს („სპარტაკი“) — 1.02,31, რომელმაც VI ადგილი დაიკავა. დინამოელი არ. კოზანაშვილი ფინიშთან XVI მივიდა — 1.03,84. ლ. ბანდურმა („ბურევესტნიკი“) მასთან 0,2 წამი წააგო და XVII ადგილს დასჯერდა.

ხვალ, აქვე გაიმართება ვაჟთა შეჯიბრება მეორე გიგანტურ სლალომში და ტურნირიც დამთავრდება.

ო. ნოზაძე.

ლიდერთა შორის სიმჭიდროვეა

ბაქო, 12 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ახალგაზრდა ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატში XII ტურისა და გადადებული პარტიები გათამაშდა.

XII ტურში მხოლოდ ოთხი პარტია დამთავრდა. გ. ზაიჩიკი დამარცხდა მოსკოველ ა. იუსუპოვთან. ბ. ტაბოროვის (კიევი) — ვ. ეგორხინის (ოდესა), ვ. აგზამოვის (ტაშკენტი) — ე. ვლადიმიროვის (ალმა-ათა) და ს. ფსახის (კრასნოიარსკი) — ა. ხარიტონოვის (ივანოვო) პარტიებში ყაიმი აღინიშნა. მ. ჩიბურდანიძე შეხვდა ზ. ლანკას (ლატვია). ძველინდურ დაცვაში მაიამ უპირატესობა მიიღო, მაგრამ მერე შეცდა და მეტოქემ კონტრთამაშით პოზიცია გაათანაბრა. პარტია გადაიდო. დაუმთავრებელი დარჩა ზ. სტურუას პარტიაც ვ. მალანიუკთან (მოსკოვი). თბილისელი ოსტატი გარკვეულ უპირატესობას ინარჩუნებს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას სტურუამ მოუგო ჩიბურდანიძესა და მალანიუკს, ს. ლპუტიანმა (ერევანი) — ვლადიმიროვს, რ. კორსუნსკიმ (ბაქო), ზაიცს, ვ. ჩეხოვმა — ზაიჩიკს, ფსახისმა — ლანკას და კორსუნსკიმ — ტაბოროვს. ყაიმზე შეთანხმდნენ ვლადიმიროვი — ჩეხოვი და ლანკა — ჩიბურდანიძე.

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ს. ფსახისი — 8,5, გ. ზაიჩიკი — 7,5, ს. ლპუტიანი, ვ. ჩეხოვი, ვ. ეინგორნი — 7-7, ზ. სტურუა, ვ. მალანიუკი, ე. ვლადიმიროვი, ზ. ლანკა — 6-6.

თასი საბჭოთა ჰოკეისტებს

ნიუ-იორკი. სსრ კავშირის ჰოკეისტებმა მესამე, დასკვნით მატჩში ანგარიშით 6:0 დაამარცხეს „ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა ვარსკვლავის“ გუნდი და მიიღეს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ-გარდენის“ დარბაზში მიმდინარე ამ შეხვედრათა სერიისთვის დაწესებული სპეციალური თასი. (საქტასი).

ექვსი რეკორდი სამ დღეში

კვირას, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში დამთავრდა რესპუბლიკის მოცურავეთა პირად-გუნდური პირველობა. შეჯიბრება სამ დღეს გრძელდებოდა და სამივე დღეს რესპუბლიკური რეკორდები აღინიშნა. ყველაზე მეტად **ი. გერასიმოვამ** („განთიადი“) გამოიჩინა თავი — ორი აბსოლუტური, ერთიც გოგონათა რეკორდი გააუმჯობესა. აბსოლუტური რეკორდები დაამყარა 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (შესაბამისად — 2.30,7 და 5.20,9), ხოლო გოგონათა რეკორდი — 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (2.14,2).

რესპუბლიკის აბსოლუტური რეკორდები გაუმჯობესდა 100 და 200 მეტრზე ქალთა შორის ბატერფლაით ცურვაში. 100 მეტრზე იმარჯვა თბილისელმა **ნ. ზალდასტანიშვილმა** (1.09,2), ხოლო 200 მეტრზე ასევე თბილისელმა, ოღონდ განთიადელმა **ი. ციბულსკაიამ** (2.33,3).

გაგვახარეს საქართველოს ნაკრების ვაჟებმაც: **ი. ომელჩენკომ, გ. არუშანოვმა, ს. ტატუბალინმა** და **ნ. მოროზოვმა** — მათ 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში დაამყარეს საქართველოს აბსოლუტური რეკორდი — 4.06,2.

* * *

სურათებზე: ი. გერასიმოვა ასპარეზობისას; ნ. ზალდასტანიშვილი შეჯიბრების შემდეგ.

ა. გურასაშვილის ფოტოები.

სპორტული სეზონის მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

დიდი მუშაობა გვმართებს

მართალია, თბილისის XVIII საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ისტორიის კუთვნილება გახდა, მაგრამ მისი შედეგები კვლავ რჩება მწვრთნელების და სპეციალისტების მსჯელობის საგნად.

ტურნირზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე და ქართველი ფალავნების გამოსვლაზე გვესაუბრება საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი **მარლენ ოსიყმაშვილი:**

— წლევანდელი საერთაშორისო ტურნირი ჩვენი ქვეყნის მოჭიდავეებისთვის სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა.

ქართველმა ფალავნებმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის შემდეგ შესამჩნევად გააუარესეს შედეგები, რაც, ძირითადად, სუსტი ფიზიკური მომზადებით იყო გამოწვეული. შექმნილი სიტუაციის გამოსწორებისთვის საჭირო გახდა მოჭიდავეების მომზადების სისტემის ძირფესვიანად შეცვლა, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გადახალისება. ამ საკითხის ერთბაშად მოგვარება კი შეუძლებელი იყო; ბევრგან სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობები ისევ მოძველებული მეთოდებით ტარდებოდა. ეს იმ დროს, როცა ჭიდაობის ისეთ ცენტრებში, როგორიცაა მახაჩკალა, ორჯონიკიძე, გროზნო, კრასნოიარსკი, ულან-უდე და სხვაგან თავის დროზე აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას, მკვეთრად შეცვალეს ვარჯიშის ინტენსიობა და მოცულობა და შედეგებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს.

მხოლოდ ორი წლის წინ შევძელით ვარჯიშების ინტენსიობის გაზრდა და თითქმის სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრებისთვის გათვალისწინებული დატვირთვების დონემდე ავიყვანეთ. ამან კარგი შედეგი გამოიღო, მაგრამ ჩამორჩენა მთლიანად მაინც ვერ დავძლიეთ. ეს იმანაც განაპირობა, რომ ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ ჭიდაობის უმაღლესი დაოსტატობის სპეციალიზირებულ სკოლაში განხორციელდა, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სპორტკლუბებში და ფიზკულტურულ კოლექტივებში კი მუშაობა ისევ ძველებურად გაგრძელდა. ამით აიხსნება, რომ საქართველოს ნაკრები გუნდის 18 წევრიდან 13 თბილისელია, 4 — სოხუმელი და ერთიც — გორელი.

აქვე უნდა ითქვას, რომ სოხუმში, ქუთაისში, საგარეჯოში, ცხინვალში, კასპში და სხვაგან ძალზე ცუდი პირობებია მოჭიდავეთა დაოსტატებისთვის; დარბაზები არასტანდარტულია, არა აქვთ საშხაპეები, აუცილებელი ინვენტარი.

ისიც სათქმელია, რომ ცუდად მუშაობენ სპორტსაზოგადოებათა სექციები და ჯგუფები, მაგალითად, ნაკრებში არ არიან „ლოკომოტივისა“ და „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენლები. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა გლდანის სპორტსკოლაში, სადაც დღემდე მოუგვარებელია საჭიდაო დარბაზის გათბობის საკითხი, არ მიმდინარეობს სრულწლოვანი წვრთნა...

თბილისის XVIII საერთაშორისო ტურნირი მონაწილეთა შემადგენლობით ყველაზე ძლიერი იყო წინამორბედთა შორის. მით უფრო სასიამოვნოა, რომ ტონის მიმცემნი ახალგაზრდა ფალავნები იყვნენ. ამ თვალსაზრისით არც ჩვენი ბიჭები გამოსულან ურიგოდ. უმრავლესობამ უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე წინა ტურნირზე. შედარებით სუსტად იასპარეზეს ვეტერანებმა ვ. მარშანიამ და რ. ხუტაბამ.

საერთოდ, ჩვენი მოჭიდავეების შედეგები, რა თქმა უნდა, მოკრძალებულია, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეჯიბრებაში ტრავმის გამო არ მონაწილეობდა ლევან თედიაშვილი და ახალგაზრდა პერსპექტიული, მძიმეწონოსანი ჯემალ ტარიელაძე, სხვადასხვა მიზეზების გამო ტურნირისთვის ვერ მოემზადნენ ანდრო სულაქველიძე და ნოდარ მოდებაძე.

ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებს მეტი მუშაობა სჭირდებათ ტექნიკურ-ტაქტიკური და შემტევი სტილის სრულყოფისთვის. უხეში ტაქტიკური შეცდომის გამო წააგო მოგებული შეხვედრა გიორგი მაკასარაშვილმა აბდულ მუსლიმანოვთან, არასწორი ტაქტიკით იჭიდავა მ. მერმანიშვილმა მაგომედოვთან, ნ. ჯაფაროვმა — პოლონელ ფალანდისთან, დ. გიგაურმა — ბ. ბუდაევთან. ცუდად ასრულებენ ფეხების დაცვას და მის კონტრფანდებს ი. ლეგაშვილი, ნ. ჯაფაროვი, ა. კაპანაძე, მ. მერმანიშვილი, თ. საჯაია. აი, სწორედ ამ ნაკლოვანი მხარეების გამოსწორებისთვის მოგვიხდება დიდი შრომა სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში.

ფიზკულტურის კოლექტივებში

●

„კოლმეურნის“ სპორტსმენებთან

წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც „კოლმეურნის“ თბილისის საქალაქო საბჭო შეიქმნა.

— ჩვენი ყურადღების ცენტრშია ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კლუბებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებში სპორტულ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები, — თქვა სპორტსაზოგადოების თავმჯდომარემ თამაზ ბარამიძემ, — დღეისთვის საზოგადოების ორგანიზაციებში მშდ-ს 1200 ნიშნოსანია, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში; ვარკეთილის მეხილეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდმა გაზეთ „ტრუდის“ პრიზზე ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტული კლუბების რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მშდ კომპლექსის მრავალჭიდელთა რესპუბლიკური ნაკრების წევრთა 40 პროცენტი თბილისის საქალაქო საბჭოს წარმომადგენელია.

თბილისელი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ III საკავშირო სასოფლო თამაშებზე. აქ ჩემპიონები გახდნენ: მოჭიდავე ი. წიკლაური, მშვილდოსანი მ. ღვინერია, საპრიზო ადგილები მოიპოვეს მოჭიდავეებმა გ. მაჭავარიანმა, ა. ჭელიძემ, დ. ყიფიანმა, ძალოსანმა ა. ჭიტაძემ და მძლეოსანმა გ. ხალიბინმა. წარმატებით იასპარეზეს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის ფეხბურთელებმა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელთაშორის შეჯიბრების ფინალში გავიდნენ. სსრ კავშირის პროფკავშირთა ჩემპიონატში, გოგონათა შორის შესანიშნავად გამოვიდა მოშაშე მ. მოსიძე. მან პირველი ადგილი მოიპოვა და ასუჯრიან შაშში რესპუბლიკაში სსრ კავშირის პირველი სპორტის ოსტატი გახდა.

* * *

ეს სურათები ფიზკულტურის ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივში — საქართველოს წყალთა მეურნეობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტშია გადაღებული. „კოლმეურნის“ თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე თ. ბარამიძე (ცენტრში) ფიზკულტურის მეთოდისტებთან და საზოგადოებრივ მწვრთნელებთან სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების გეგმას აზუსტებს; ფიზკულტურის ინსტრუქტორი ა. გურაშვილი (მარჯვნივ). მძლეოსანი გ. ფარუნაშვილი და ფრენბურთელი ნ. მადათოვა; მაგიდის ჩოგბურთელი გ. ნუცუბიძე ვარჯიშის დროს; ჭადრაკი ინსტიტუტის ფიზკულტურელთა შორის სპორტის ერთ-ერთ პოპულარულ სახეობად ითვლება.

ა. კავკასიძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაკურიანის თოვლიან ტრასებს ერთი დღითაც არ აქვთ მოცლა. იანვარში აქ რამდენიმე დიდი საერთაშორისო და საკავშირო შეჯიბრება გაიმართა. თებერვალმა სათხილამურო სპორტის მოყვარულებს ახალი სტარტები მოუტანა. ორი მათგანია საქართველოს თასების გათამაშება ტრამპლინიდან ხტომასა და სამთო-სათხილამურო სახეობებში.

საქართველოს თასების გათამაშება ტრამპლინიდან ხტომასა და სამთო-სათხილამურო სპორტში

ორივე ჯილდო — დინამოელებს

„მფრინავ მოთხილამურეთა“ ასპარეზობა სამივე ტრამპლინზე ჩატარდა. ფავორიტები იყვნენ დინამოელები, რომლებმაც 2 გუნდი გამოიყვანეს და ყველა სახეობაში გაიმარჯვეს. მათ გუნდურ ჩათვლაში საგრძნობლად გაასწრეს მომდევნო პრიზიორებს — „კოლმეურნისა“ და განათლების სამინისტროს კოლექტივებს.

40-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრება (18 მონაწილე) მოიგო ზ. ჯანგობეგოვმა („დინამო“)—188,9 ქულა (ნახტომები 40 და 41 მ). 70-მეტრიან ტრამპლინზე ვაჟებში უძლიერესი იყო მისი თანაგუნდელი ბ. ზანგიევი — 164,6 (70,5 და 63,5 მ), ხოლო იუნიორებში — გ. ქუმარიტაშვილი — 165,2 ქულა. სწორედ იგი გადახტა ყველაზე შორს პირველივე ცდაზე — 71,5 მ. (მეორე ცდაზე 63,5 მ აჩვენა).

90-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრებას, უამინდობა დაესწრო, ამას მონაწილეთა სუსტი ფიზიკური და ტექნიკური მომზადებაც დაემატა და, რა თქმა უნდა, მაჩვენებლებიც უხეირო გამოდგა. პირველობა ისევ გ. ქუმარიტაშვილმა მოიგო (146 ქულა, 69 და 71 მ).

სამთო მოთხილამურეთა თასისთვის მებრძოლნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გიგანტურ და სპეციალურ სლალომში. ტურნირი 3 ასაკობრივ ჯგუფად მიმდინარეობდა: მოზრდილები, 1961-62 წლებში დაბადებული იუნიორები და 1963-64 წლებში დაბადებული მოზარდები.

ვაჟებისთვის 450-მეტრიანი სლალომის ტრასა მოეწყო. 46 კარი ყველაზე კარგად გაიარა ლ. ბანდურამ („ბურევესტნიკი“). იუნიორთა შორის იმარჯვა ვ. ფერაძემ, ხოლო ჭაბუკებში — გ. დიაკონაშვილმა (ორივე — „დინამო“). ქალებისთვის ტრასა 50 მეტრით დაამოკლეს, კართა რიცხვი კი ოთხით შეამცირეს. პირველი ადგილები მოიპოვეს: ფ. ფანჯაკიძემ, ქალიშვილებში — მ. მიქაბერიძემ, გოგონებში — დ. მიქაბერიძემ (ყველა — „დინამო“).

გიგანტური სლალომის 1200-მეტრიან ტრასაზე 2 ცდა მოეწყო. ვაჟებში ორივეჯერ ს. მიქაბერიძემ („სპარტაკი“) აჯობა ყველას, იუნიორებში ჯერ ი. დიაკონაშვილმა („დინამო“) გამოიჩინა თავი, მერე — ი. შუბაშვილმა (განათლების სამინისტრო). ჭაბუკებში ორივეჯერ გ. დიაკონაშვილმა გაიმარჯვა.

ქალთა შეჯიბრებაში თითო პირველობა მოიგეს ქ. მესხიშვილმა (განათლების სამინისტრო) და ფ. ფანჯაკიძემ. ქალიშვილებში ორივე დაშვება მ. მიბაქერიძის გამარჯვებით დამთავრდა. გოგონებში ჯერ თ. ხვედელიძე (განათლების სამინისტრო) იყო პირველი, შემდეგ — დ. მიბაქერიძე.

როგორც ტრამპლინიდან ხტომაში, ისე სამთო-სათხილამურო სპორტში რესპუბლიკის თასები დინამოელებმა მოიგეს.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ჩვენი გამოსვლის შემდეგ

„ლელოს“ 9 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „...და მაინც დამაკმაყოფილებელი?“, რომელშიც ლაპარაკი იყო თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „მეგობრობის“ საქმიანობაზე. იგი გაკრიტიკებული იყო მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის დაბალი დონისთვის.

გაზეთის კრიტიკული გამოსვლა განიხილეს საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმების ერთობლივ სხდომაზე.

პრეზიდიუმების სხდომის ანგარიშსა და დადგენილებაში, რომელიც რედაქციას გამოუგზავნეს, ვკითხულობთ, რომ **გაზეთში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეა.**

საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმების გადაწყვეტილებით „მეგობრობის“ ფიზკულტურის უფროს ინსტრუქტორს **ა. მარანჯიევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და დაევალა 4 თვეში გამოასწოროს მდგომარეობა.**

ქარხნის პროფკავშირის კომიტეტს **(რ. მზარელუა)** და „განთიადის“ საქალაქო საბჭოს **(შ. რევიშვილი)** დაევალათ უმოკლეს დროში მოახდინონ „მეგობრობის“ კონფერენციაზე ახლად არჩეული საბჭოს წევრთა შორის ფუნქციების განაწილება; მიიღონ ზომები სპორტული კლუბის დებულებით გათვალისწინებულ სახეობებში სექციებისა და გუნდების ჩამოყალიბებისა და მათი ნორმალური საქმიანობისთვის, 25 თებერვლამდე უზრუნველყონ ქარხნის ტერიტორიისა და სპორტული ბაზების თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით გაფორმება.

ქარხნის პროფკავშირულ ორგანიზაციას ადმინისტრაციასთან ერთად (დირექტორი **ზ. ჩივაძე**) დაევალა მეტი დახმარება აღმოუჩინონ „მეგობრობის“ საბჭოს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისთვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საწარმოო ტანვარჯიშის მაქსიმალურ დანერგვასა და ამ ღონისძიების ხარისხიანად წარმართვას.

პრეზიდიუმებმა ცნობად მიიღეს რ. მზარელუას განცხადება იმის შესახებ, რომ ავჭალის ყოფილი წყალსადენის მიდამოებში მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის დაგეგმვა. ამ კომპლექსის მწყობრში ჩადგომამდე ქარხნის გვერდით მოეწყობა სპორტული მოედნები და სხვა სექტორები.

თბილისის X საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ძიუდოში

უფრო შორსაც გავიხედოთ...

— ისაო სან. სულ ათიოდე წუთი...

ოთხი დღე ნიშანში მყავდა ამოღებული. ხან რამ შემიშალა ხელი, ხან რამ. ერთთავად ჟურნალისტი ეჯდა გვერდით, ერთი და იგივე კითხვაზე, ვინ იცის, მერამდენედ უხდებოდა პასუხის გაცემა. განსაკუთრებულიც ვერაფერი მოვიფიქრე და, დილით საღამოსთვის გადავდებდი ხოლმე, საღამოთი — დილისთვის. ამ დღეხვალეობაში ტურნირიც მიილია — ტატამზე აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულის სახელისთვის მოასპარეზე ძიუდოისტთა რიგები თანდათან შეთხელდა. კიდევ ცოტაც და ტურნირის დაწყებამდე ნავარაუდევი ინტერვიუ ნავარაუდევადღა დარჩებოდა...

ასპარეზობის იმ ბოლო დღეს ოთხი იაპონელი დამარცხდა. ყველაზე ეფექტური მაინც მძიმეწონოსან ტაჰაკის მარცხი იყო. იაპონელის მეტოქემ ორი ლამაზი გდება შეასრულა და ორივეჯერ „ვაზარი" დაიმსახურა. ასეთი რამ მართლაც რომ იშვიათობაა ტატამზე. ისაო ინოკუმასკენ გავიხედე. არც გაკვირვება, არც წყენა, არც მღელვარება — ნაკვთი არ შეტოკებია სახეზე. უცნაური აზრი მომივიდა — ნიღაბი. იაპონელებს ფანატიკურად უყვართ ძიუდო, დიდ სიყვარულს კი დიდი განცდებიც ახლავს და ამან გამაოცა. ოლიმპიური ჩემპიონი ისე იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ეს ან რაღაც არაადამიანური თავშეკავება იყო, ანდა მართლაც ნიღაბი ჰქონდა, გაუმტარი, მკაცრი.

ქვეყანა სტუმარი ჰყავდა სპორტის სასახლეს — ფრანგი, შვედი, გერმანელი, ფინელი, უნგრელი — ემოციების დაფარვას, ხანდახან გადაჭარბებულსაც კი, კაცი არ ცდილობდა.

ისაო ინოკუმას გვერდით ადგილი გათავისუფლდა თუ არა, არენაზე ჩავედი. ნახევარფინალურ ორთაბრძოლებამდე თითო-ოროლა შეხვედრაღა იყო დარჩენილი.

უგვირგვინო ჩემპიონი

ასპარეზობის მესამე დღე 71 და 65 კგ წონის მოჭიდავეებს დაეთმო. ერთგან ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ თამაზ კარიაული, გელა შინჯიკაშვილი, ბერდია გუგავა, დავით კოდანოვი და ლევან ცისკარიშვილი, მეორეგან — ოლეგ ზურაბიანი, ივანე ობგაიძე, ზაურ ნიშნიანიძე, რამაზ ბოკუჩავა, ბესიკ წოწკოლაური და ამირან ობგაიძე. მოეწყო წილისყრა და სპორტსმენები თავიანთი ნომრების მიხედვით განლაგდნენ. უარესს კაცი ვერ მოიფიქრებდა. კარიაული იაპონელ ნისიდასა და ოლიმპიურ ჩემპიონს ვლადიმერ ნევზოროვს შორის მოექცა, „ბ" ჯგუფის ქვედა ნახევარში კი წილისყრამ მედლების სამი რეალური პრეტენდენტი, სამი ქართველი ძიუდოისტი შეაგროვა ერთად — გუგავა, კოდანოვი, ცისკარიშვილი, ნახევარფინალის გზა კი მხოლოდ ერთი იყო. კენჭისყრა არც 65 კგ წონაში გამოდგა იღბლიანი. ზურაბიანს ფინალამდე უნდა გაერკვია ურთიერთობა სსრ კავშირის 1977 წლის ჩემპიონ ნიკოლოზ სოლოდუხინთან (ამავე ჯგუფში მოხვდა ოლიმპიური ჩემპიონი კუბელი როდრიგესიც), ობგაიძეს — ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან, იაპონელ სახარასთან და ქვეყნის 1978 წლის ჩემპიონ პეტრე პონომარიოვთან.

ობგაიძე დამარცხდა სახარასთან, მაგრამ პონომარიოვთან გამარჯვებით ბრინჯაოს მაინც დაეუფლა. ზურაბიანმა დაუბრკოლებლად მიაღწია ფინალის მისადგომებს, რჩებოდა მხოლოდ სოლოდუხინი...

ამ შეხვედრაზე უთუოდ ღირს შეჩერება. ოლეგის მარცხმა, თქმა არ უნდა, გული დაგვწყვიტა, მაგრამ ყველა ის, ვინც კი თვალს ადევნებდა ორთაბრძოლას, არ შეიძლება მოხიბლული არ დარჩენილიყო მართლაცდა სპორტული ვაჟკაცობის მაგალითით. ოლეგმა პირველივე წუთზე „კოკა" აართვა მეტოქეს და კაცმა არ იცის, რით გათავდებოდა პაექრობა, ის ერთი შეცდომა რომ არა. სოლოდუხინმა მტკივნეულ ილეთზე „დაიჭირა" ქართველი ფალავანი... 5 წამი, ათი, თხუთმეტი, ოცი... ერთ მომენტში თვალი მოვკარი ოლეგის სახეს, ტკივილისგან გაფითრებულს, მაინც ანთებულსა და გაუტეხელს...

არ ვიცი, შეიძლება ვცდებოდე, შეიძლება ასეთი რამ სპორტის კანონებს ეწინააღმდეგება კიდეც, მაგრამ მჯერა — ამ გამძლეობისთვის ათასობით კაცმა უგვირგვინო ჩემპიონად მონათლა ოლეგ ზურაბიანი...

71 კგ წონაში ფინალში გავიდნენ ნისიდა და კოდანოვი. 65-ში სახარა და სოლოდუხინი. ორივეგან გაიმარჯვეს იაპონელებმა.

პირველი წამიდან უკანასკნელამდე

აბსოლუტური წონითი კატეგორია ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ასე მოხდა ამჯერადაც. ასპარეზობაში 37 ძიუდოისტი ჩაება. საკმაოდ იყვნენ I ადგილის პრეტენდენტებიც. სსრ კავშირის ჩემპიონი ალექსანდრე ტიურინი, მძიმეწონოსანთა წლევანდელ ტურნირში გამარჯვებული ევგენი ეფრემოვი, უნგრელი იმრე ვარგა, ფრანგი როჟე ვაშონი, ბორის ბერიძე, იაპონელები — ტაჰაკი, იშიკავა, ეია და, რაღა თქმა უნდა, ჯიბილო ნიჟარაძე და თემურ ხუბულური.

როცა წინასწარი შეხვედრები დასრულდა, ფინალში მოხვედრის პრეტენდენტთა სიამ ერთგვარად კურიოზული სახე მიიღო. ოთხ მონაწილეს შორის (ხუბულური, ვარგა, ვაშონი, ლოლაშვილი) მხოლოდ ერთი იყო მძიმეწონოსანი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, უცნაური არაფერი მომხდარა, ძიუდო ის ჭიდაობაა, სადაც ძალასა და წონას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ჭეშმარიტება შეჯიბრების მეოთხე დღესაც დადასტურდა.

მეორე ტატამი 60 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზეთ დაეთმოთ. აქ ჩვენი მწვრთნელები ერთობ მორიდებულ პროგნოზებს იძლეოდნენ და ასეც მოხდა. საქართველოს ნაკრების თითქმის ყველა წევრი ადრევე გამოეთიშა მედლებისთვის დავას (სხვათა შორის, მხოლოდ ესა და მძიმე წონითი კატეგორია გამოდგა უფერული ჩვენი ათლეტებისთვის).

ხუბულურმა ჯერ ტიურინი დაამარცხა (სსრ კავშირის ჩემპიონი 140 კგ-ს იწონის), მერე ბელგიელი ვანდეუალა, კორლეტიანუ, მოუგო ვარგასაც და ფინალში გავიდა. პირველივე ორთაბრძოლაში იაპონელ იშიკავასთან დასანანი მარცხი იწვნია ნიჟარაძემ, მერე იშიკავამ წააგო ვაშონთან და ჯიბილომ „ბრინჯაოს" მოპოვების შესაძლებლობაც დაკარგა. „ბ" ჯგუფში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჰამლეტ ლოლაშვილმა — ზედიზედ მოიგო სამი შეხვედრა, მერე ვაშონიც ჩამოიცილა და, სულ მცირე, ვერცხლის მედალი გაინაღდა.

მეორე ტატამზე ფინალში გავიდნენ იაპონელი ხამადა და სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი არამბი ემიჟი.

ისე დაიწყო ორივე ფინალი და ისეც წარიმართა, რომ შედეგის გამოცნობა მაინცდამაინც საძნელო არ ჩანდა. საკმაოდ დაწინაურდა იაპონელი, თითქოსდა ნაღდი გამარჯვება ელოდა ხუბულურსაც. მაგრამ სპორტს ერთი მკაცრი, ლოგიკური კანონი აქვს: წინასწარ გამარჯვებულები არ არსებობენ. ყოველ ნაბიჯზე, პირველი წამიდან უკანასკნელამდე ხიფათია ჩასაფრებული, პირველი წამიდან უკანასკნელამდე ბრძოლაა საჭირო. ამ კანონმა, თითქოსდა საგანგებოდ, ორივე პაექრობის ბოლო წამებზე შეგვახსენა თავი. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე მეტოქის მოულოდნელმა ილეთმა იაპონელს თითქმის უკვე განაღდებული პირველი ადგილი დააკარგვინა. ორთაბრძოლის დამთავრებამდე წუთზე ნაკლები იყო დარჩენილი, როცა ხუბულურიც (ალბათ გაუფრთხილებლობით) კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „ოსაიკომი!" შესძახა მსაჯმა და შებოჭვა დაიწყო. საქმე ის იყო, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე, სულ რაღაც 5 წამით ადრე მოახერხა ხუბულურმა მეტოქის მარწუხებიდან თავის დაღწევა...

აქ, რა თქმა უნდა, სიმპათიებზე არ არის საუბარი, ასე იქნებოდა, თუ ისე, „ვერცხლიცა" და „ოქროც" საქართველოს ნაკრების ყულაბაში მოხვდებოდა, მაგრამ მოულოდნელი მარცხი, სულ ერთია ხუბულურისა იქნება თუ ლოლაშვილის, მაინც უსიამო გრძნობას ტოვებს, მით უფრო, რომ ქვემძიმე წონაში ასპარეზობისას თემურს უკვე ჰქონდა ერთი ასეთი მწარე გაკვეთილი.

არა მხოლოდ ჭიდაობა

— ისაო სან, სულ ათიოდე წუთი...

თანხმობის ნიშნად იაპონიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი, ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ისაო ინოკუმა ოდნავ ხრის თავს.

— თბილისში ფაქტიურად მეორე ნაკრები ჩამოიყვანეთ. ეს ალბათ დაზვერვაა მოსკოვის ოლიმპიადის წინ.

— არა, დაზვერვა არ არის. კანდიდატებს ვამოწმებთ ოლიმპიადისთვის.

— ამ შვიდი ძიუდოისტიდან რომელიმე თუ შეიგულეთ ნაკრებისთვის?

— ჯერჯერობით არცერთი, მსუბუქ და ქვემსუბუქ წონაში გამარჯვებულნი ნისიდა და სახარაც კი. ასეთები საკმაოდ გვყავს. უკანასკნელ მომენტამდე თითოეულ წონაში რამდენიმე კანდიდატი გვეყოლება. გამონაკლისი ალბათ იმასიტოა. ახლა მწვრთნელთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. ამ ჭაბუკს ჯერ კიდევ მოუწევს სწავლა. ძალა საკმაოდ აქვს, ტექნიკაში კი ბევრი რამ აქვს დასახვეწი. იამასიტოს მეხუთე დანი აქვს. ამ ასაკში, რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ მას გაცილებით მეტი შეუძლია და ალბათ შევაძლებინებთ კიდეც — სწავლა და ოსტატობის ამაღლება ხომ უსასრულოდ შეიძლება.

მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ასეთი დეტალი: დელეგაციის ხელმძღვანელი მე-7 დანს ფლობს. 8 დანი აქვს იაპონიის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს კოსო კატოს.

— ტურნირში მრავალი ეროვნების არბიტრი მსაჯობს. რით ავხსნათ იაპონელთა არყოფნა?

ინოკუმს მრავალმნიშვნელოვნად ეღიმება. თითქოს რაღაცას ვხვდები კიდეც.

— მსაჯი ბევრი გვყავს და საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციისაც. იმ ტურნირებში, სადაც იაპონელი სპორტსმენები ასპარეზობენ, შეგნებულად არ ვაგზავნით ჩვენს მსაჯებს. ტურნირი მოჭიდავემ უნდა მოიგოს და არა მსაჯმა.

— არცერთ იაპონელს ექიმისთვის არ მიუმართავს...

ისევ მრავალისმთქმელი ღიმილი. პასუხს აღარ ველოდები, რადგან თავისთავად მივადექით ჩემთვის საინტერესო საკითხს...

— რა ასაკიდან აწყებინებთ ძიუდოში ვარჯიშს?

— 7-10 წლის ასაკიდან. თუმცა პირველ ხანებში ჭიდაობას არ ვასწავლით. გვაქვს კლუბები, სპეციალური სკოლებიც. ინსტიტუტებშიც ვარჯიშობენ ძიუდოში.

— ისევ ბავშვებს დავუბრუნდეთ და, უფრო გასაგები რომ იყოს შეკითხვა, ერთ შთაბეჭდილებას გაგიზიარებთ. თბილისში ძალიან უყვართ იაპონელი ძიუდოისტები. ამ სიყვარულის საფუძველი მარტო სპორტული გამარჯვებები არ არის. თქვენს ბიჭებს აქვთ რაღაც განსაკუთრებული, ის, რაც სხვებისგან გამოარჩევთ. მხედველობაში მაქვს თავშეკავება, მეტოქისა თუ სხვა ნებისმიერი ადამიანის პატივისცემა, მოწიწება. ერთი სიტყვით, შინაგანი კულტურა. იაპონურ ტრადიციებზე ბევრი რამ გაგვიგონია, მაგრამ ამგვარ თვისებებს ხომ მაინც წლობით აღზრდა აყალიბებს.

— უკვე გითხარით, პირველ ხანებში უშუალოდ ჭიდაობა, ტექნიკის სწავლება არ არის ჩვენი ამოცანა: თავდაპირველად ვაჩვევთ წესრიგს, უფროსების პატივისცემას, ვაცნობთ ძიუდოს წესებს. ვარჯიში მერე იწყება, იქაც პირველყოვლისა ტატამზე დაცემას ვასწავლით და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდივართ ტექნიკაზე. კიდევ ცოტა ხანი და შეჯიბრებებზეც გამოგვყავს. მშობლებს სიამოვნებით მოჰყავთ ბავშვები. გასაკვირი არაფერია, კაცი მშვიდად წავა სამსახურში, როცა იცის, რომ შვილს პირველ რიგში ადამიანად ზრდიან. ეს არის მთავარი, თორემ რა ცოდნა უნდა იმას, რომ სპორტულ მწვერვალებს მხოლოდ ერთეულები აღწევენ. სპორტსმენი ჯერ მოქალაქე უნდა იყოს, თავმოყვარეობა უნდა ჰქონდეს, ღირსება. აი, შეხედეთ...

ჩემმა თანამოსაუბრემ იატაკზე გაწოლილ როჟე ვაშონზე მანიშნა.

— საკმარისია ასე მოიქცეს ჩვენი მოჭიდავე, სავარჯიშო დარბაზს სამუდამოდ დაემშვიდობება. ზოგი ფიქრობს, ძიუდოისტი მარტო ტატამზე უნდა იყოს. ძიუდო მარტო ჭიდაობა არ არის, ქცევის ნორმებსაც გულისხმობს. სულ ერთია, ტატამი იქნება თუ ქუჩა.

— თქვენი შთაბეჭდილება თბილისის ტურნირზე.

— უფრო ზოგადი მასშტაბით გეტყვით, რადგან ის, რაც უნდა ვთქვა, სხვა ტურნირებსაც ეხება. ძიუდომ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თუმცა რამდენადაც სასიხარულოა ეს ფაქტი, იმდენად მაწუხებს ერთი ტენდენცია. თითქმის ყველგან [illegible] ძალას ანიჭებენ პრიორიტეტს. არადა ძიუდოში პირველყოვლისა ტექნიკაა მთავარი.

ის-ის იყო დავაპირე მეკითხა, ამ თვალსაზრისით ვის გამოარჩევდით-მეთქი და გულთამხილავივით დამასწრო.

— ხარშილაძეზე ამას ვერ ვიტყვი. ტექნიკურია, ჭკვიანი. — მერე მკერდზე დაიდო ხელი, — ძიუდოისტის გული აქვს.

• • •

დამთავრდა თბილისის X საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. მშვენივრად იასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა — საქართველოს ნაკრებმა 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, 2 „ოქრო", 3 „ვერცხლი" და ერთი ბრინჯაო — იაპონიის ნაკრებმა, 2 „ოქრო", 2 „ვერცხლი" და 3 „ბრინჯაო" — სსრ კავშირის ნაკრებმა. 1 „ვერცხლი" და 2 „ბრინჯაო" აქვს უნგრეთს, 5 „ბრინჯაო" — საფრანგეთს, 1 — გდრ-ს.

რა თქმა უნდა, წარმატება უდავოა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ გუნდური პირველი ადგილი საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა, დიდი სხვაობით გაუსწრო სსრ კავშირის ნაკრებს, რომელიც უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობდა. მაგრამ მეტისმეტადაც ნუ მოგვხიბლავს მედლების ელვარება, თუნდაც იმიტომ, რომ თავის ქებას, საკუთარი წარმატებებით ტკბობას ჯერ არავისთვის მოუტანია სიკეთე, იმიტომაც, რომ ქვეყანაში პირველობა ჩვენი ძიუდოისტების პროგრამა-მინიმუმია, ქართველ ათლეტებს კი ევალებათ და უნდა გაიხედონ კიდეც უფრო შორს. აი ამ საზომით ტურნირი რაიმე გარკვეულის თქმის უფლებას ძნელად მოგვცემს — თბილისის საერთაშორისო ტურნირში ძიუდოს მოწინავე ქვეყნების — იაპონიის, გდრ-სა და საფრანგეთის ნაკრებების ფაქტიურად მეორე შემადგენლობები ასპარეზობდნენ.

კარზეა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები (ოქტომბერი — საფრანგეთი, მაისი — ბელგია), ოლიმპიურ თამაშებამდეც წელიწადზე ცოტა მეტიღა დარჩა. ყველა ამ ტურნირებზე მოპოვებული გამარჯვებები საპატიოა, ამ გამარჯვებებს ველით და ჩვენს ძიუდოისტებს, რომ იტყვიან, სხვა გზა არცა აქვთ.

ი. ბერიაშვილი.

• • •

სურათებზე: აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებული თ. ხუბულური; იაპონიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი ი. ინოკუმა; ფოტოობიექტივის, საფრანგეთისა და იაპონიის გუნდების წევრთა ყურადღებაც ტატამისკენაა მიმართული.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის მოედნებზე

სან-ფრანცისკო, 11 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა II ნაკრებმა დაამთავრა საერთაშორისო ტურნე ამერიკის შეერთებული შტატებისა და მექსიკის სტადიონებზე. დასკვნითი შეხვედრა მათ მოიგეს აშშ-ს ნაკრებთან — 4:1 (3:0).

ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა ანდრეევმა, შემდეგ უსტიმჩიკმა და კლემენტიევმა კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი. მატჩის დასასრულს კლემენტიევმა კვლავ მიაღწია წარმატებას, ხოლო ლივერიკმა თავისი გუნდი იხსნა „მშრალი" ანგარიშით დამარცხებისგან.

საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: რადაევი, ბოკი (როდინი), შევცოვი, სულაქველიძე, გრიგორიევი, ვასილიევი, უსტიმჩიკი, ანი, ტარხანოვი, კლემენტიევი, ანდრეევი.

სსრ კავშირის II ნაკრებმა ოკეანეს გაღმა სულ 5 მატჩი ჩაატარა. აშშ-ის ნაკრებთან მან ორჯერ გაიმარჯვა — 3:1 და 4:1, მექსიკელებთან მოიგო ერთი მატჩი (1:0), ერთი წააგო (0:1), ერთი შეხვედრაც დაამთავრა ფრედ (1:1).

გუშინ ლესელიძეში გაიმართა თბილისისა და კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდების მატჩი, რომელიც თბილისელთა გამარჯვებით (1:0) დამთავრდა, ბურთი გაიტანა ბოლქვაძემ. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდი თამაშობდა სსრ კავშირის ნაკრების წევრთა გარეშე.

23-ე „ოქრო" სარხოიანის

კაუნასში დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი. ჩემპიონის ოქროს მედალი ზედიზედ მესამედ მოიგო 19 წლის სუმგაითელმა სტუდენტმა ვ. პოპოვამ. შემდეგ იგი ლვოველ ა. სტროკატოვთან ერთად უძლიერესი იყო შერეულ წყვილთა ასპარეზობაში. ვაჟთა შორის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ერევნელმა ბ. ბურნაზიანმა. ქალთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ერევნელი ა. ზახარიანი და სვერდლოვსკელი ლ. ბაკმუტოვა, ხოლო ვაჟებში — სტროკატოვი და ბათუმელი ს. სარხოიანი. ეს ბათუმელის 23-ე ოქროს მედალია საკავშირო ჩემპიონატებში.

ლიდერებში

კიევსა და მინსკში მიმდინარეობს უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი.

კვლავ წარმატებით ითამაშეს თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებმა, რომლებმაც ადგილობრივ არმიელებს მოუგეს — 29:25. დანარჩენი ორი თამაში კიევში ასე დამთავრდა: „ცელტნიექსი" (რიგა) — ცსკა 25:29, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „გრანიტასი" (კაუნასი) 25:22.

მინსკში მესამე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სკიფი (კრასნოდარი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 24:31, „კუნცევო" (მოსკოვი) — ასკ (ლვოვი) 25:24, ასკ (მინსკი) — „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) 30:22.

ამრიგად, 3 ტურის შემდეგ კიევის ჯგუფში ლიდერობენ ცსკა და „ბურევესტნიკი", რომლებსაც 6-6 ქულა აქვთ. მინსკის ჯგუფშიც 6-6 ქულით წინ არიან მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ადგილობრივ არმიელთა გუნდები.

გასული წლის ლაურეატები



შარშან საბჭოთა მოცურავეებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მათი წინსვლა უფრო საგრძნობი იყო დასავლეთ ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში. აქ 18 წლის ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა შეძლო ამერიკელები მათთვის ტრადიციულ სახეობებში — 400 და 1500 მეტრზე ცურვაში დაემარცხებინა და ორივეჯერ ოქროს მედლით დაემშვენებინა მკერდი.

მიღწევებით დაიწყეს

მინსკის მძლეოსნურ დახურულ სტადიონზე გუშინ გვიან დამთავრდა სსრ კავშირის ზამთრის პირველობა, რომელიც ფაქტიურად მოსკოვის ოლიმპიადისთვის ძალების პირველ შემოწმებად გადაიქცა. სარბიელზე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები გამოვიდნენ. ასპარეზობის პირველივე დღე შესანიშნავი შედეგებით აღინიშნა: 20 წლის მინსკელმა სტუდენტმა **გ. ვალიუკევიჩმა** სამხტომელთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში 17,18 მეტრი აჩვენა და 2 სმ-ით გააუმჯობესა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, თბილისელი სპორტის დამსახურებული ოსტატის **ვ. სანეევის** მსოფლიო მიღწევა.

სიმაღლეზე ხტომაში საკვალიფიკაციო ნორმატივი (215 სმ) 18 სპორტსმენმა დაძლია, რაც საუკეთესო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. საბოლოოდ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა კუიბიშეველმა **გ. ბელკოვმა** — 227 სმ. მან სამჯერ სცადა 230 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადავლებოდა, მაგრამ ამაოდ.

1500 მეტრზე რბენაში საკავშირო მიღწევა გააუმჯობესა **ზ. ზაიცევამ** (ანდიჟანი) — 4.12,6.

სხვა სახეობებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: 60 მეტრზე თარჯრბენში: **ვ. ანისიმოვა** (ლენინგრადი) — 8,14 და **ა. პროკოფიევი** (რსფსრ) — 7,63. 60 მეტრზე — მოსკოველი **ლ. სტოროჟკოვა** — 7,29 და ლენინგრადელი **ვ. კოლესნიკოვი** — 6,86; 800 მეტრზე — **ლ. სტირკინა** (მოსკოვი) — 2.04,2, ვაჟებში — მასპინძლები **ნ. კიროვი** და **ვ. პოდოლიაკი**, რომლებმაც ერთნაირი შედეგი (1.49,8) აჩვენეს. 2000 მეტრზე წინაღობებით რბენა მოიგო **ს. ეპიშინმა** (რსფსრ) — 5.29,6. 400 მეტრზე ჩემპიონი გახდა **ვ. ბურაკოვი** — 47,7, .1500 მეტრზე — **ვ. პონომარიოვი** — 3.47,3, ბირთვის კვრაში **ვ. კისელიოვი** — 20,46, სიგრძეზე ხტომაში **ვ. პოდლუჟნი** — 793. ქალთა შორის 400 მეტრზე რბენაში ყველაზე სწრაფი გამოდგა **მ. კულჩუნოვა** — 53,7, ხოლო ბირთვის კვრა მოიგო **ნ. აბაშიძემ** — 19,01.

დაფნის გვირგვინი მესამედ

ამერიკელმა სპორტსმენმა ერიკ ჰეიდენმა დამაჯერებლად მოიგო ოსლოს მსოფლიოს ჩემპიონატი და ზედიზედ მესამედ მოიპოვა უძლიერესი მრავალჭიდელის დაფნის გვირგვინი.

ჰეიდენმა გაიმარჯვა ოთხივე დისტანციაზე და ჯამში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 162,973 ქულა. ეს შედეგი 0,248 ქულით სჯობს ნორვეგიელი სპორტსმენის ი.-ე. სტურჰოლდის მიერ მაღალმთიან მედეოში ორი წლის წინათ ნაჩვენებ შედეგს. ყველა მანძილზე (500-მეტრიანის გარდა) ჰეიდენმა გააუმჯობესა მსოფლიოს მიღწევა.

II და III ადგილებზე გავიდნენ ნორვეგიელი მოციგურავეები სტურჰოლდი — 167,805 და სტენსჰემეტი — 167,903.

საბჭოთა გუნდიდან საუკეთესო იყო გორკელი ვ. ლიოსკინი, რომელმაც მეორე დრო აჩვენა 10 კილომეტრზე (14.58,74) და V ადგილი დაიკავა მრავალჭიდში — 168,660. (საკდესი).

მომავალი ოლიმპიადის ცენტრში

ზუსტად ერთი წელი დარჩა ზამთრის XIII ოლიმპიადის დაწყებამდე. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრების ცენტრშია აშშ-ის დაბა ლეიკ-პლესიდი. სწორედ აქ შეიკრიბნენ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც გაისად „თეთრ ოლიმპიადაში" გამოცდიან ძალებს. ეს ე. წ. წინაოლიმპიური კვირეული 10 კილომეტრზე ასპარეზობაში (2 საცეცხლე პოზიციიდან სროლა) მონაწილე ბიატლონისტებმა გახსნეს. წარმატება წილად ხვდა ტ. კროკსტადს (ნორვეგია) — 34.35,19.

მერე ბრძოლაში ჩაებნენ მორბენლები. ქალები ძალებს სცდიდნენ 10 კილომეტრზე; ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 30 კილომეტრზე. ქალთა შორის საბჭოთა მოთხილამურეების უპირატესობა აშკარა გახლდათ. 4 პირველი ადგილი დაიკავეს რ. სმეტანინამ — 31.30,87, გ. კულაკოვამ—31.49,29, ნ. როჩევამ — 31.54,51 და ზ. ამოსოვამ — 32.06,08.

ვაჟთა შეჯიბრებაში ყველაზე სწრაფი გამოდგა ნორვეგიელი ო. ბრო — 1:26.05,41, ნ. ზიმიატოვმა (სსრ კავშირი) მასთან 25,65 წამი წააგო და II ადგილი დაიკავა. III ადგილზე გავიდა შვედი ს.-ო. ლუნდბაკი — 1:26.50,8.

სპეციალისტები კვლავ აალაპარაკა ამერიკელმა ბ. კოხმა. ეს ის სპორტსმენია, რომელმაც ინსბრუკის ოლიმპიადაში მეტოქეებს არაერთი „უსიამოვნება" მიაყენა, რის შემდეგ სარბიელიდან გაქრა და აი, ახლა კვლავ მოწინავე პოზიციებისთვის იბრძვის. ამ შეჯიბრებაში კოხმა VIII ადგილი დაიკავა.

მეორე დღეს ბიატლონისტები კვლავ გამოვიდნენ სტარტზე, 20 კილომეტრზე ა. ალიაბიევმა შეძლო რევანშის აღება — 1:16.29,72. მან მეორე ადგილზე გასული ქ. ზიბერტი 18 წამზე მეტით ჩამოიტოვა. მესამე ადგილზეც გდრ-ის გუნდის წევრი ფ. ულრიხი გავიდა.

საბჭოთა სპორტსმენებმა საპრიზო ადგილების მოპოვება ვერ შეძლეს 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომასა და ამავე სახეობაში ორჭიდელთა შეჯიბრებაში. „მფრინავ მოთხილამურეთა" ასპარეზობაში ყველას აჯობა პ. ლეიტნერმა (გფრ) — 247,7 ქულა (ნახტომები 89 და 81,5 მ.). მეორე იყო პ. კოკონენი (ფინეთი) — 239,7.

როცა ორჭიდელებმა რბენაში ასპარეზობა დაამთავრეს და შედეგები შეჯამდა, პირველობა ერგო უ. ველინგს (გდრ), რომელმაც საბოლოოდ 430,9 ქულა მოაგროვა. ა. მაიოროვმა IX ადგილზე გადაინაცვლა — 384,73 ქულა.

ტურნირის მესამე დღეს მორბენლები კიდევ ორ დისტანციაზე ცდიდნენ ძალას. ქალთა შორის 5 კილომეტრზე შეჯიბრებაში კვლავ არ ჰყავდა ბადალი რ. სმეტანინას — 16.17,81. მომდევნო საპრიზო ადგილები ერგოთ ლ. ლუნდბაკს (შვეცია) — 16.21,09 და ნ. როჩევას (სსრკ) — 16.32,45. გ. კულაკოვა და ზ. ამოსოვა შესაბამისად VII და VIII ადგილებს დასჯერდნენ.

ნორვეგიელმა ო. ბრომ მორიგი გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად ყველას აჯობა 15 კილომეტრიან მანძილზე — 43.36,39. III ადგილზე გასულ ე. ბელიაევს (სსრ კავშირი) — 44.07,62 — გაასწრო ტ. ვასბერგმაც (შვეცია) — 44.02,01. ნ. ზიმიატოვმა VI, ხოლო ს. საველიევმა VII დგილები დაიკავეს.

90-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდა პ. კოკონენს (ფინეთი), რომელმაც 225,5 ქულა მოაგროვა (ნახტომები 115 და 110,5 მ.). საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო პეტროზავოდსკელი ი. ივანოვი — 229,7 ქულა (107 და 102,5 მ), V ადგილი. ბიატლონისტთა ესტაფეტაში 3X7,5 კმ-ზე საბჭოთა ნაკრები ძირითადი შემადგენლობით არ მონაწილეობდა და VII ადგილზე გავიდა. საპრიზო ადგილები დაიკავეს გდრ-ის, ფინეთისა და ნორვეგიის კოლექტივებმა.

„ლიაკროსი"—მოგების ახალი წყარო

ყველა ეროვნებას, ტომს უძველესი დროიდან ჰქონდა რაღაც თამაშობანი, რომლებიც ხელს უწყობდნენ ადამიანთა ფიზიკურ სრულყოფას და მტრებთან მომავალ ბრძოლებში საჭირო ელემენტების ათვისება-დახვეწას. ბევრმა მაშინდელმა ამგვარმა გასართობმა საუკუნეებს გაუძლო და სადღეისოდ ეროვნულ სახეობად თუ თამაშად ჩამოყალიბდა, რომლებიც კვლავ დიდ ინტერესს იწვევენ.

ამგვარი სპორტის ეროვნული სახეობებით მდიდარია ჩვენი რესპუბლიკა. ქართულ ჭიდაობას რომ თავი დავანებოთ, ცხენოსნობაშიც რამდენიმე სახეობაა, რომლებიც დღესაც მხილველთა საერთო მოწონებას იმსახურებენ — ყაბახი, ისინდი, ცხენბურთი...

მაგრამ ამ წერილში ქართულ ეროვნულ სახეობებზე კი არ ვისაუბრებთ, რადგან მათზე ბევრი თქმულა და დაწერილა, არამედ ამერიკელ ინდიელთა უძველეს თამაშ „ბაგატუეიზე" და მის სახესხვაობა „ლიაკროსზე", რომელიც ახლა, განსაკუთრებით კანადაში, ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორც პროფესიული ჰოკეი.

ლიაკროსის პირველი პროფესიული ჩრდილო ამერიკული ლიგა 1974 წელს შეიქმნა კანადაში. მას მიმდევრები აშშ-იც გაუჩნდნენ და ამჟამად ეს ლიგა 6 კლუბს აერთიანებს მონრეალიდან, ბოსტონიდან, ფილადელფიიდან, კვებეკიდან, მერილენდიდან და ნიუ-იორკიდან. ლიგის თასი „ვანკლევების" ჰქვას. განსაკუთრებით პოპულარული გახდა „კვებეკის"-ის ფორვარდი ჯ. დევისი.

როგორც ვთქვით, ლიაკროსი ძველინდური რელიგიური თამაშის ბაგატუეის სრულყოფილი ფორმაა, რომელმაც მრავალი ცვლილება განიცადა — წესები სხვადასხვა თამაშებიდან ისესხა, ვიდრე თანამედროვე სახეს მიიღებდა.

ინდიელთა ამ თამაშს გემო პირველად ფრანგმა კოლონიზატორებმა გაუსინჯეს. ეს იყო XIX საუკუნის დასაწყისში და უკვე 1856 წელს მონრეალში ლიაკროსის პირველი კლუბი შეიქმნა. თამაშის სახელიც „ლიაკროსი" ფრანგული წარმოშობისაა, მოხრილ ჰოკეიჯოხს, რომელიც მაშინ სპორტსმენის მთავარი იარაღი იყო, ლიაკროსი უწოდეს.

თანამედროვე ლიაკროსის თამაშის წესები ჰოკეისა და კალათბურთის ერთგვარ ნაერთს შეადგენს. გუნდში 6 კაცია. მოედანი ისეთივეა, როგორც ჰოკეისა, ოღონდ შეხვედრები ხისიატაკიან მოედნებზე ეწყობა. სპორტსმენის მთავარი იარაღი აქაც ჰოკეიჯოხია, რომელიც თითქმის ისეთივეა, როგორიც ჩვენი ცხენბურთელებისა. 115 სანტიმეტრიანი იარაღი თავდება სამკუთხედით, რომელსაც ბადე აქვს ამოწნული. იგი ბურთის სატარებელი, სატყორცნი და მისაწოდებელი ხელსაწყოა.

თამაშის ყველა ტაქტიკურ-ტექნიკური ელემენტი დიდი სისწრაფით სრულდება, რაც კალათბურთიდან აღებული წესებით არის განპირობებული — გუნდს უფლება არ აქვს ბურთი 30 წამზე მეტხანს დაიჭიროს თუ იგი მეტოქის კარში არ ტყორცნა.

თავდაპირველად ლიაკროსი სანტრეისტ, მაგრამ უენებლო თამაში იყო, მაგრამ მერმეიდრე, როცა მასში შეიჭრა ჰოკეის წესები, ძალისმიერმა თამაშმა მოიპოვა უპირატესობა და საჭირო გახდა მეკარე დამცველი ჩაფხუტით აღჭურვილიყო. ამ თამაშში საჯელები ისეთივეა, როგორც ჰოკეიში. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჰოკეიჯოხის ბადეში მოწინააღმდეგის თავი აღმოჩნდება ხოლმე. დამნაშავეს იმწამსვე მინდვრიდან აძევებენ.

მატჩის ხანგრძლივობა 20-20-წუთიანი სამი ტაიმია. იმის გამო, რომ ხისიატაკიან მოედანზე სწრაფად თამაში არც ისე ადვილია, მოთამაშეთა შეცვლის ჰოკეისტთა წესები დანერგეს.

პროფესიული გუნდების მატჩები მუდამ აზარტულობით გამოირჩევა, განსაკუთრებით დიდი ექსპეულისა, რომელთა შეხვედრებზე დასასწრებად 10-15-ათასიანი დარბაზებიც უკმარია. ამასთან, მატჩის დაწყების მაუწყებელი სასტვენიდან საფინალო სიგნალამდე დარბაზებში ისეთი ჯოჯოხეთური ღრიანცელია, რომ კაცს გვერდით მჯდომისა კი არა, — საკუთარი ხმის გარჩევაც უჭირს.

ლიაკროსის ეროვნული ლიგის თასის გათამაშების ფინალი იმავე წესით ტარდება, როგორითაც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სტენლის თასისა — გუნდმა ისე უნდა გაიმარჯვოს შვიდი მატჩისგან შემდგარ სერიაში, რომ არცერთი შეხვედრა ფრედ არ დაამთავროს.

კანადაში ლიაკროსს სამართლიანად უწოდეს პროფესიული ჰოკეის საშიში კონკურენტი, ვინაიდან მან მაყურებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადაიბირა. ასე გადაიქცა ძველინდური ახალგაზრდა მეომრების მოსამზადებელი თამაში ბაგატუეი ლიაკროსად — ჩრდილოეთ ამერიკაში ფულის მოგების უდიდეს წყაროდ.



დღეს მთელს მსოფლიოში გარდა იმისა, რომ სწრაფად ვითარდება ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, „კლასიკური" სპორტის სახეობები, ჩნდება ახალიც, რომელთათვის დამახასიათებელია უმაღლესი სისწრაფე, სირთულე და... რისკი.

სპორტის ერთ-ერთ ასეთ ახალ სახეობათა შორის განსაკუთრებით პოპულარული აშშ-სა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში გახდა სკეიტბორტინგი. იგი სპორტსმენისგან მოითხოვს დიდ სიმარჯვესა და სიფრთხილეს. ტრავმებისგან თავდაცვის მიზნით სპორტსმენები იყენებენ იდაყვებისა და მუხლების დამცველ საშუალებებს.

საკდესის ფოტო.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 06961